ქ.თბილისი
24 ოქტომბერი, 2016 წელი

**ბრძანება N 001-003**

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-6 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის − ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-40 მუხლისა და 2010 წლის 20 ივნისის ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების" 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,უ" და ,,ყ" ქვეპუნქტების შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. ჩატარდეს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-6 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები 2016 წლის 25 ნოემბერს.
2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის მე-12 კმ. N6)

**სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მ.შ. /ბახვა კვირიკაშვილი/**